

საარჩევნო ბლოკი «ეროვნული საბჭო» რეგისტრირებულია ცენტ. საარჩევნო კომისიის მიერ. 17.04.2010

განათლების რეფორმა

უფასო და ერთნაირი სახელმძღვანელოები

შესაბამისი დარგის ექსპერტებთან, ტენდერის ფორმატში, ერთად აუცილებელია სასკოლო სახელმძღვანელოების ერთიან სტანდარტებზე შეთანხმება მთელი საქართველოსთვის. ამ სტანდარტის მიხედვით შექმნილ წიგნებს თბილისის მერია იყიდის და გადასცემს თბილისის სახელმწიფო სკოლებს და მოსწავლეები უფასოდ ისარგებლებენ ასეთი სახელმძღვანელოებით. ამ პროექტის ღირებულებაა ოთხ წელიწადში ერთხელ 23 მილიონი ლარი, რადგან საერთო სახელმძღვანელოს სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ ოთხი წელია.

განათლების ბიუჯეტი

დღეს საქართველოს სჭირდება მსოფლიო დონის განათლება და ქართული აღზრდა. დღეს ინვესტიცია განათლებაში ნიშნავს ინვესტიციას საქართველოს მშვიდობიან გამარჯვებაში. ამ დროს საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია რამდენიმე ასეული მილიონი ლარით მეტს ხარჯავს პოლიციაზე, ვიდრე განათლებაზე. ჩვენ ვთვლით, რომ ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს. განათლების ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს 240 მილიონი ლარით და გაუტოლდეს 760 მილიონ ლარს.

სკოლამდელი განათლება

მთლიანად უნდა გადაიხედოს სახელმწიფო საბავშვო ბაღებში მიმდინარე სასწავლო პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ამავდროულად უნდა გაიზარდოს ამ დაწესებულებების დაფინანსება, რათა ისინი გადაიქცნენ ადრეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თანამედროვე ცენტრებად. სამწუხაროდ დღემდე სახელმწიფო საბავშვო ბაღებში არ დაინერგა ადრეული განვითარების თანამედროვე ეფექტური მეთოდები. ამის გამო სახელმწიფო ბაღებში ბავშვები ვერ იძენენ იმ მნიშვნელოვან ადრეულ უნარებს, რომლებიც საფუძვლად უნდა ჩაეყაროს საქართველოს მომავალი თაობების ფიზიკური, გონებრივი და სოციალური უნარების განვითარებას.

სასკოლო განათლება

სამუშაო სკოლას სჭირდება მოსწავლეზე ორიენტირებული და მოქნილი სწავლების სისტემა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მატერიალური ბაზის განვითარება.

დღეს მაღალი კლასის მოსწავლეები სკოლის ნაცვლად დადიან ფასიან რეპეტიტორებთან. ეს აჩვენებს, რომ სახელმწიფო სკოლებში სწავლების პროცესი ვერ პასუხობს მოსწავლის საჭიროებას. ერთის მხრივ, საჭიროა სასწავლო პროცესის გადახედვა ისე, რომ სწორედ სკოლის მასწავლებელმა დაიკავოს საუკეთესო რეპეტიტორის ადგილი. მეორეს მხრივ, საჭიროა მაღალი კლასების პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნებთან. მხოლოდ ამ ცვლილებების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს განათლების კოჰერენტული და სრულყოფილი სახელმწიფო სისტემა.

უმაღლესი განათლება

უმაღლეს სასწავლებლებს პირველ რიგში სჭირდებათ რეალური დამოუკიდებლობისა და ავტონომიის უზრუნველყოფა. აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მატერიალური ბაზის სრულყოფა.

საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებასთან ერთად მნიშვნელოვანია ბოლონიის პროცესის რეალურად დანერგვა, რათა საქართველოში მიღებულ დიპლომს შინაარსი ჰქონდეს მსლოფლიო განათლების სისტემის კონტექსტში.

საჭიროა სპეციალური ფონდის ჩამოყალიბება იმისათვის, რომ სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ჰქონდეთ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

